სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

ესპანური DeRaza Iberico ჩამოვიდა კონკრეტული საინვესტიციო წინადადებებით
საქართველოს საპარტნიორო ფონდის ცნობით, ესპანური კომპანია DeRaza Iberico დაინტერესებულია კახური ჯიშის ღორების კომერციალიზაციით საერთაშორისო ბაზრებზე. კომპანია საქართველოში ჩამოვიდა კონკრეტული საინვესტიციო შეთავაზებებით, აღნიშნეს ფონდში. DeRaza Iberico-ს წარმომადგენლები გეგმავენ ვიზიტებს საქართველოს რეგიონებში, შეხვედრებს ფერმერებთან და ქართული ჯიშის ღორების შეძენას სამეცნიერო კვლევებისთვის, განაცხადეს ფონდში.
Sarke Information News, 5 მაისი, 2016

მარნეულში განხორციელდა სარწყავი არხის რეაბილიტაცია
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, შპს „საქართველოს მელიორაციამ“ მთის სარწყავი არხის რეაბილიტაცია დაასრულა მარნეულის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის რეგიონი). რეაბილიტაციის ღირებულებამ 3 მილიონი ლარი შეადგინა. სამინისტროს განცხადებით, რეაბილიტაციამ საშუალება მისცა მარნეულის 5 სოფლის მცხოვრებლებს მორწყან 620 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი. საერთო ჯამში, ქვემო ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე სარწყავი მიწის ფართობები გაიზარდა 2012 წლის შემდეგ 24 500 ჰა-დან 43 800 ჰა-მდე, ხაზი გაუსვეს სამინისტროში და დასძინეს, რომ „საქართველოს მელიორაცია“ ახორციელებს ამჟამად სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 7 პროექტს რეგიონში და 25-ს - საქართველოს მასშტაბით.
Sarke Information News, 4 მაისი, 2016

Sheppard-ის მხარდამჭერის პროგრამა ხორციელდება ვაშლოვანში
UNDP-ის ცნობით, ევროკავშირი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და საქართველოს მთავრობა ერთობლივად ახორციელებენ პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს დეგრადირებული საძოვრების რეაბილიტაციას და მწყემსების და ფერმერების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ვაშლოვანში (კახეთის რეგიონი). 2013 წლიდან წყალმომარაგების სისტემა, რომელიც იყენებს ბუნებრივი წყლის ნაკადს, მოქმედებს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე და უზრუნველყოფს წყლის 15 მეურნეობისთვის მიწოდებას. გარდა ამისა, ორი საპილოტე ფერმა შეიქმნა საძოვრების მდგრადი მართვის საუკეთესო პრაქტიკის დემონსტრირების მიზნით. ორი ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური ასევე უკვე შევიდა ექსპლუატაციაში, და მიმდინარეობს ერთიანი ვეტერინარული სამსახურის შექმნა, რომლის პოტენციური შესაძლებლობაა 30 000 ცხვრის მომსახურება. 2016 წლის ბოლოსთვის დასრულდება 4 000 ჰექტარი დეგრადირებული საძოვრების აღდგენა და 300 ჰა ცხვრის მიგრაციული მარშრუტების რეაბილიტაცია, განაცხადეს UNDP-ში. პროგრამის ღირებულება მითითებული არ არის.
Sarke Information News, 4 მაისი, 2016

სათესლე მარცვლეულის სერტიფიცირება დაინერგება
სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს, რომ სათესლე მარცვლეულის სერტიფიცირების სისტემა დაინერგება ქვეყანაში. ამ კუთხით ღონისძიებები ტარდება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ტექნიკური და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით. კერძოდ, FAO-ს ექსპერტი ახორციელებს სწავლებას სათესლე მარცვლეულის ლაბორატორიული ანალიზის და ხარისხის განსაზღვრის საკითხებზე სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წილკანის ბაზაზე, განაცხადეს სამინისტროში.
Sarke Information News, 4 მაისი, 2016

სომელიეს სტატუსი საქართველოში პირველად მიენიჭება
თბილისის ღვინის სკოლამ გამოაცხადა სომელიეთა სერტიფიცირების გამოცდების შესახებ, რომელიც გაიმართა ამ წლის 26-27 აპრილს პირველად საქართველოში. კონკურსის წესით შერჩეული 90 მონაწილე სწავლობდა სომელიეთა პროფესიას ღვინის სკოლაში 3 თვის განმავლობაში. თბილისის ღვინის სკოლა გაიხსნა 2003 წლის სექტემბერში. მისი დამფუძნებელია შალვა ხეცურიანი, საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტი და სომელიეთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი 2014 წლიდან.
Sarke Information News, 26 აპრილი, 2016

მარცვლეული კულტურების სელექციის ექსპერიმენტები ტარდება 11 მუნიციპალიტეტში
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი სასოფლო-სამეურნეო ცენტრი ატარებს მარცვლეულის კულტურების სელექციის ექსპერიმენტს 11 მუნიციპალიტეტში საქართველოს 5 რეგიონში (ქართლი, კახეთი, იმერეთი, რაჭა, სამცხე-ჯავახეთი). კულტურები დაითესა 27 ჰა ფართობზე. იმისათვის, რომ მიღებულ იქნეს ელიტური სათესლე მასალა, ცენტრმა დათესა ჭვავის სამრეწველო და პირველადი სათესლე და, ასევე, ისტორიული ქართული სახეობები, განაცხადეს სამინისტროში. საქართველო აღიარებულია ხორბლის წარმოშობის ქვეყანად და 27 სახეობიდან 14, მათ შორის 5 ენდემური სახეობა, აღწერილია ჩვენს ქვეყანაში, განაცხადეს სამინისტროში.
Sarke Information News, 26 აპრილი, 2016

2 წლის განმავლობაში 12,43 მლნ ლარის ზარალი აუნაზღაურდათ ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, 2 წლის განმავლობაში 12,43 მილიონი ლარის ზარალი აუნაზღაურდათ ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში. საერთო ჯამში, 193,34 მილიონი ლარის მოსავალი იყო დაზღვეული და სახელმწიფომ გასცა 13,8 მილიონი ლარის სუბსიდია ფერმერების მიერ გადახდილ სადაზღვევო პრემიებზე, ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში. სოფლის მეურნეობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა დაიწყო 2014 წელს. მიმდინარე წელს მისი ბიუჯეტი დაახლოებით 10 მილიონი ლარია, ისევე როგორც შარშან, განაცხადეს სამინისტროში და დასძინეს, რომ პროგრამა გაგრძელდება წლის ბოლომდე.
Sarke Information News, 22 აპრილი, 2016

მეფუტკრეობა და თევზის მოშენება ჩვენი პრიორიტეტებია
„მეფუტკრეობის და მეთევზეობის განვითარება ჩვენი პრიორიტეტებია, რადგან საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს ამ თვალსაზრისით“, განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ. „დარგების სწორი განვითარება მოითხოვს ევროკავშირის სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების დანერგვას“, განაცხადა მინისტრმა. „ამ კუთხით ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ სამეცნიერო, ადგილობრივ ფერმერებში ცნობიერების ამაღლების, ასევე სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის მიმართულებებით“, აღნიშნა მინისტრმა.
Sarke Information News, 22 აპრილი, 2016

სოფლის მეურნეობის სიახლეები - სომხეთი

სომხეთის სოფლის მეურნეობა იზრდება 3,3% -ით 71,2 მილიარდ სომხურ დრამამდე 2016 წლის იანვარ-მარტში
სომხეთის სოფლის მეურნეობამ 2016 წლის იანვარ-მარტში მიმდინარე ფასებში შეადგინა 71,2 მილიარდ სომხურ დრამამდე, რაც 3,3%-იანი ზრდის მაჩვენებელია, იუწყება სომხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სოფლის მეურნეობის და მეთევზეობის მოცულობა

გაიზარდა 3,8%-ით 81,2 მილიარდ დრამამდე. სტატისტიკური ანგარიშის თანახმად, მეცხოველეობის დარგმა შეადგინა 66,8 მილიარდი დრამი 2016 წლის იანვარ-მარტში, რაც 2,9% ზრდას ნიშნავს, მემცენარეობა გაიზარდა 12,4%-ით დაახლოებით 4,4 მილიარდ დრამამდე და მეთევზეობა 7,5%-ით 10 მილიარდ დრამამდე. დაახლოებით 15 300 ტონა საქონლის და ქათმის ხორცი გაიყიდა 2016 წლის იანვარ-მარტში (2,7%-იანი ზრდა). ყველაზე დიდი მოცულობის ხორცი გაიყიდა არმავირის პროვინციაში - 2 200 ტონა. რძის მოცულობა 168 900 ტონა იყო 2016 წლის პირველ კვარტალში (2,9% ზრდა), აქედან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო გაგარკუნის პროვინციაში - 32 000 ტონა. კვერცხის რაოდენობა გაიზარდა 9,7%-ით 115,6 მილიონ ცალამდე 2016 წლის იანვარ-მარტში, აქედან 30,9 მილიონი კვერცხი იყო წარმოებული კოტაიქის პროვინციაში. დაახლეობით 1 547,5 ტონა თევზი იყო წარმოებული სომხეთში 2016 წლის იანვარ-მარტში (გაიყიდა მთლიანად) - რაც 22,8% წლიური ზრდაა. (1 აშშ დოლარი - 478,56 სომხური დრამი).
ერევანი, 3 მაისი, ARKA.

გარგარი დააზიანა ცივმა ამინდებმა სომხეთში
მთელი ქვეყნის მასშტაბით დაზარალებულ თემებში სპეციალისტების მიერ ცოტა ხნის წინ ჩატარებული კვლევის თანახმად, გარგრის მოსავალი სომხეთში დაახლოებით 45 000-55 000 ტონა უნდა იყოს. ეს არის მნიშვნელოვანი კლება გასული წლის ივლისის მოცულობასთან შედარებით, როდესაც სომხეთის გარგარის მოსავალმა შეადგინა 103 000 ტონა, რაც 14%-იანი ზრდა იყო 2014 წლის მონაცემთან შედარებით. სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრეს-რელიზში ეს მოცულობა შეიძლება უმნიშვნელოდ შეიცვალოს ხილის ბუნებრივი ცვენის გამო, რაც ზოგჯერ ხდება მაისის შუა რიცხვებში. ანგარიშის თანახმად, „არსებობს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც შეიძლება დადებითად იმოქმედებს შედეგებზე: იმის გამო, რომ ხე მსუბუქად დატვირთულია, შეუდარებლად დიდი და მაღალი ხარისხის ნაყოფის ფორმირება ხდება, რაც გაზრდის ხარისხს და მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს ზარალს“. სააგენტოს განცხადებით, იმის გამო, რომ მარტში უარყოფითი ტემპერატურა დაფიქსირდა, გარგრის მოსავალი დაზიანდა ძირითადად არარატის და არმავირის რეგიონებში. არმავირში და ეჩმიაძინში, ასევე ბაგრამიანის ზოგიერთ თემებში, მოსავლის დანაკარგები მერყეობდა 50-80%-ს შორის, ზოგ რეგიონში კი უფრო მძიმე დანაკარგებიც იყო. არარატში გარგრის მოსავლის დაზიანება შეფასებული იყო 20-40%-ით, არტაშატის რეგიონში - 40-70%, მასაში - 40-50% და აეროპორტ „ზვარტნოცის“ მიმდებარე რიგ თემებში (მათ შორის, ეჩმიაძინის რაიონში) ზარალი მერყეობდა 60-90%-ს შორის. დანაკარგები ასევე დაფიქსირებულია ვაიოც ძორის რეგიონის ორ ან სამ თემში. უფრო ზუსტი მონაცემები სავარაუდოდ გამოქვეყნდება მაისის შუა რიცხვებში და პროგნოზები გარგრის მოსავალის საკითხზე უფრო ცხადი გახდება.
fruitnews.info/arka.am. 4/29/2016

სომხეთის ღვინის ექსპორტი შემცირდა 31,5%-ით 2015 წელს
სომხეთის ღვინის ექსპორტი შემცირდა 31,5%-ით 2015 წელს 1 451 600 ლიტრამდე 2 120 700 ლიტრიდან 2014 წელს, განაცხადეს სომხეთის საბაჟო სამსახურში. ღვინის ექსპორტის საბაჟო ღირებულება 2015 წელს 4,1 მილიონი აშშ დოლარია, ხოლო 2014 წელს 6,3 მლნ აშშ დოლარი იყო. ანგარიშის თანახმად, სომხეთის ღვინის ექსპორტის 79% - 1 150 600 ლ (2,9 მილიონი აშშ დოლარი) გაიგზავნა რუსეთში 2015 წელს, 1 713 800 (4,4 მილიონი აშშ დოლარი) - 2014 წელს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით ღვინის მოცულობა შემცირდა 4%-ით 2015 წელს 5 931 900 ლიტრამდე. 80%-იანი ეთილის სპირტის, ალკოჰოლის ნაყენის, ლიქიორის და სხვა ალკოჰოლური სასმელების მოცულობამ შეადგინა 11,9 მილიონი ლიტრი 2015 წელს, 13 მილიონი ლიტრი (164,9 მილიონი აშშ დოლარი) იყო 2014 წელს. სტატისტიკური ანგარიშის შესაბამისად, 80%-იანი ეთილის სპირტის 76,4% - 9,1 მილიონი ლიტრი (79,9 მილიონი აშშ დოლარი) რუსეთში იქნა გაგზავნილი 2015 წელს, 10,4 მილიონი ლიტრი (132,3 მილიონი აშშ დოლარი) - 2014 წელს. სომხური კონიაკის წარმოება შემცირდა 9,4%-ით 16 947 600 ლიტრამდე 2015 წელს. დაახლოებით 58 100 ლიტრი შამპანური იყო წარმოებული ქვეყანაში 2015 წელს,

634 00 ლიტრი - 2014 წელს. სომხეთში შემცირდა ლუდის წარმოება 12,8%-ით 20 686 500 ლიტრამდე და ლუდის ექსპორტი 19,3%-ით 1 987 800 ლ-მდე (1,6 მილიონი აშშ დოლარი) 2015 წელს, 1 602 800 ლ (1,2 მილიონი აშშ დოლარი) იყო 2014 წელს. სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში აცხადებენ, რომ სომხეთის ექსპორტმა შეადგინა 1 486,9 მილიონი აშშ დოლარი 2015 წელს, რაც 3,9%-ით კლებას ნიშნავს.
20 აპრილი, 2016 / ARKA

გარგრის მოსავალი სავარაუდოდ 45 000-დან 55 000 ტონამდე იქნება წელს სომხეთში
გარგარის მოსავალი, სავარაუდოდ, 45 000-დან 55 000 ტონამდე იქნება წელს, განაცხადეს სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროში მას შემდეგ, რაც დაიანგარიშეს გარგრის ხეებისთვის მიყენებული ზარალი მარტის ყინვების შემდეგ. პრეს-სამსახურში ორშაბათს განაცხადეს, რომ ეს ციფრი მაინც შეიძლება განსხვავებული იყოს დაგეგმილი მოცულობისგან გარგრის ბუნებრივი ცვენის გამო, რაც მაისის შუა რიცხვებში ხდება, როგორც წესი. „არის კიდევ ერთი საინტერესო ფაქტორი, რომელმაც შეიძლება ხელსაყრელი გავლენა მოახდინოს შედეგებზე. ხეხილის ხეების ხილით ნაკლები დატვირთვის შემთხვევაში, ნაყოფი უფრო დიდი და მაღალი ხარისხის იქნება“, ნათქვამია განცხადებაში და „ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს ზარალს“. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, არარატი და არმავირი მეტად დაზარალდა ყინვისგან, ვიდრე სხვა რეგიონები. გარგარის მეურნეობებმა არმავირში და ეჩმიაძინში და ბაგრამიანის ზოგიერთ თემში დაკარგა მოსავლის 50-80%, ზოგან - უფრო მეტიც კი. უფრო ზუსტი მონაცემები წარმოდგენილი იქნება მაისის შუა რიცხვებში. ოფიციალური ინფორმაციით, რომელიც გამოვიდა 2015 წლის ივლისის ბოლოს, გარგრის მოსავალმა შეადგინა დაახლოებით 103 000 ტონა, რაც 14 000 ტონით აღემატება წინა წლის მონაცემს.
26.04.16 ერევანი. *ARKA News.*

სომხეთმა ყველის ექსპორტი რუსეთში რამდენჯერმე გაზარდა EAEU-ში გაწევრიანების შემდეგ
სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავლების კომიტეტის (SRC) მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებით, ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების შემდეგ სომხეთმა რამდენჯერმე გაზარდა ყველის ექსპორტი რუსეთში. თუ 2014 წელს დაახლოებით 4,5 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 1,5 ათასი ტონა ყველის ექსპორტი განხორციელდა, 2015 წელს ამ მონაცემმა მიაღწია 9,1 ათას ტონას, ღირებულება კი დაახლოებით 23,6 მლნ აშშ დოლარი იყო. EAEU-სთან მიერთებამდე სომხეთმა ჩაატარა საკანონმდებლო სამუშაო სანიტარული ნორმების ჰარმონიზაციის, მათ შორის კვების პროდუქტების წარმოების, კუთხით. ეს სამუშაო გაგრძელდა აგრეთვე 2015 წელს. სომხეთის ყველის მწარმოებლების ინფორმაციის მიხედვით, სომეხი თანამემამულეები რჩებიან ყველის მთავარ მომხმარებლებად რუსეთში: მარილიანი ყველის ნაირსახეობა, რომელიც ძირითადად იწარმოება სომხეთში, არ არის პოპულარული რუს მომხმარებლებში. მიუხედავად რთული სიტუაციისა რუსეთის სამომხმარებლო ბაზარზე, სომეხ მწარმოებლებს არ დასჭირდათ ფასების მნიშვნელოვანი შემცირება: 2014 წელს საშუალო საექსპორტო ფასი შეადგენდა 3,17 აშშ დოლარს კილოგრამზე, 2015 წელს კი შემცირდა 2,59 აშშ დოლარამდე.
20 აპრილი, News.am

პუბლიკაციები და სხვა

Business & Finance Consulting (BFC)-ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი, 2016 წლის აპრილის #44 გამოცემა
საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი წარმოადგენს რეგულარულ სიახლეებს ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. გამოცემას გაეცანით ამ ბმულზე.
http://agrogeorgia.blog.com/

ევროკავშირ/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენი
ევროკავშირი/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენის ბოლო გამოცემა ხელმისაწვდომია. იხილეთ ამ ბმულზე:

http: eeas.europa.eu/delegations/georgia/.

ENPARD: ახალი ამბები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამიდან
სიახლეები იხ. ამ ბმულზე: **www.enpard.ge**

სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო
Physikalisch-Technische Bundesanstalt-ს (PTB) და GIZ კერძო სექტორის განვითარების პროგრამა - სამხრეთ კავკასიის (PSD SC) ერთობლივი მხარდაჭერით გამოიცა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო - თხილის ნაწილი. სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის - ფერმერები, მოსავლის ამღებები, გადამამუშავებლები და მოიცავს ინფორმაციას ხარისხის ინფრასტრუქტურის დაწესებულებების ყველა ფუნქციის და სამსახურის შესახებ. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.
www.nfa.gov.ge/files/images/

DWV & AGRICULTURE
თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში, იხილეთ ცნობები და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები ამ ბმულზე:
www.dwvg.ge

Agro & Food Up-to-Date
Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტებზე.
http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/
http://georgien.ahk.de/armenien/newsletter/agro-food-news-armenia/